

საქართველოს კანონი

“ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპიული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპიული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ” საქართველოს კანონში (სსმ, 2002 წ., №33, მუხ.162) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 26-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“7. საქართველოს ტერიტორიაზე იმ საბაჟო პუნქტების ნუსხას, საიდანაც ნებადართული იქნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანა და გატანა, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

2. 26-ე მუხლის მე-9 პუნქტი გამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“9. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წინასწარი ნებართვის გარეშე შემოტანის მცდელობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს ტვირთის უკან დაბრუნებას მომწოდებლის ხარჯით”.

3. 26-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“11. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესებს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით”.

4. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს შესაბამის დოკუმენტს, რომელიც საქართველოს საბაჟო ორგანოებისათვის წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპიული ნივთიერებების გატარების საფუძველს”.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.